თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №345
2021 წლის 31 დეკემბერი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართის №1 შესაბამისად

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №192 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 27.12.2017, სარეგ. კოდი: 270070000.35.157.016296) „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა თედორაძე**

დანართი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა

	რანგი/კატეგორია	**თანამდებობა**	**საშტატო რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო**
დაწესებულების ხელმძღვანელები				
	პოლიტიკური თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარე	1	**5570**
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	**4235**
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	**3872**
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	**3300**
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	**3300**

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	**2090**
საკრებულოს აპარატი				
	პირველი რანგი/მაღალი მმართველობითი დონე	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	**3190**
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	**2530**
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	**1760**
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	**1760**
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	**1650**
საორგანიზაციო განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	**2530**
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	**1760**
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	3	**1760**
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	**1650**
	IV რანგის II კატეგორია	უმცროსი სპეციალისტი	1	**1100**